დანართი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
„ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება“

წესდება

მუხლი 1. გაერთიანების სტატუსი და ადგილსამყოფელი

1. არასამეწარმეო იურიდიული პირი - ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება" (შემდგომში ,,გაერთიანება'') დაფუძნებულია ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ, მის. ქ. ახალციხე, მ. კოსტავას ქ. N18, საიდენტიფიკაციო კოდი: 224101317

2. ,,გაერთიანებას" აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, შტამპი, მრგვალი ბეჭედი, სახაზინო და საბანკო ანგარიშები, იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

3. საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა და წინამდებარე წესდება.

4. გაერთიანება საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, შეუძლია გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩელედ, ან მოპასუხედ.

5. გაერთიანების იურიდიული მისამართია: ქ. ახალციხე, შ. ახალციხელის ქ. #2

მუხლი 2. გაერთიანების მიზნები და ამოცანები

1. გაერთიანების ძირითად მიზანს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტის და ქართული კულტურის განვითარებისათვის ხელშეწყობა.
2. ეროვნული ფასეულობების სისტემაში კულტურის მნიშვნელოვანი ადგილის დამკვიდრება და მისი როლის განმტკიცება.
3. საზოგადოების კულტურული და სოციალური თვითშეგნების ესთეტიური განვითარების სრულყოფის ხელშეწყობა.
4. სახელმწიფო სტრუქტურებთან და ხელოვნების სფეროში მოქმედი კერძო ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობის განვითარება.
5. საზოგადოებისა და ხელოვნების მოღვაწეთა ურთიერთდამოკიდებულების სტიმულირება, ხელოვნების მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის გაღვივება.
6. თვითმმართველ ერთეულში ხელოვნების სფეროში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა მომავალი პროფესიული განვითარებისათვის ხელის შეწყობა და სტიმულირება.
7. ქართული კულტურული მემკვიდრეობისა და თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია.
8. არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით ერთობლივი პროექტების განხორციელება სპორტის კულტურისა და ხელოვნების დარგში;
9. ახალგაზრდების მოზიდვა და ჩართვა წრე-სტუდიებსა და კულტურულ ღონისძიებებში.
10. ტრადიციული ფოლკლორის დარგების განვითარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა;
11. სპორტული ღონისძიებების მოწყობის ხელშეწყობა.
12 კულტურული და სპორტული ხასიათის მქონე გუნდების/ჯგუფების შექმნა და მათი განვითარების ხელშეწყობა
13. ბიბლიოთეკის კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნება, გამდიდრება, რეგისტრაცია და მათი საგანგებო რეჟიმით დაცვის კონტროლი;
14. მკითხველთა სწრაფი და სრული დაკმაყოფილება მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით, ხელსაყრელი პირობების შექმნა პიროვნების შემოქმედებითი განვითარებისათვის;
15. იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდანაც მიღებული მოგება უნდა მოხმარდეს იურიდიული პირის მიზნების რეალიზაციას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილ პირებს შორის დაუშვებელია.

16. კანონით განსაზღვრული ის საქმიანიბა რომელიც მოითხოვს სპეციალური ლიცენზიას/ნებართვას, ასეთი საქმიანობის განხორციელების უფლება იურიდიულ პირს წარმოეშობა ლიცენზიის/ნებართვის მიღების მომენტიდან;

მუხლი 3. გაერთიანების უფლება-მოვალეობანი

1.გაერთიანება უფლებამოსილია:

ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ კულტურულ დაწესებულებებში განახორციელოს კონტროლი სანიტარული ნორმების დაცვაზე, წყალმომარაგების, ელექტრომომარაგებისა და საკომუნიკაციო სისტემების გამართულ მუშაობაზე.

ბ) უზრუნველყოს სეზონურ სამუშაოთა მომზადების ორგანიზება და კოორდინაცია.

გ) მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე, განკარგოს მისი ფინანსური სახსრები.

დ) მოამზადოს და ჩაატაროს ტრენინგები, კონფერენციები და სხვა ღონისძიებები;

ე) მოამზადოს და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს წარუდგინოს წინადადებები სამსახურის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში გააფორმოს ხელშეკრულებები საქართველოს ან საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან.

ზ) უზრუნველყოს სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობით ჩაბმისათვის ხელშეწყობა..

თ) სპორტის სფეროში პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით წინადადებების მომზადება და მათ განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;

ი) საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან, ფედერაციებთან და სპორტის სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

კ) სპორტული გუნდების (ჯგუფების) შექმნა და გავითარების ხელშეწყობა.

2. გაერთიანებას, მხოლოდ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით, შეუძლია განახორციელოს შემდეგი საქმიანობა:

ა) სესხის აღება;

ბ) ქონების შეძენა, განკარგვა, გაქირავება, და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სხვა ფორმებით გადაცემა, უფლებრივად დატვირთვა..

გ) სტრუქტურის, საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;

დ) კანონით დადგენილი წესითა და კომპეტენციის ფარგლებში, გეგმის საფუძველზე შესყიდვის განახორციელება;

ე) სხვა გადაწყვეტილებების მიღება, თუ ისინი სცილდება გაერთიანების საქმიანობის სფეროს.

3. გაერთიანება ვალდებულია:

ა) წარმართოს საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) შეასრულოს მოქმედი კანონმდებლობიდან და დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებები;

გ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაითვალისწინოს დასაქმებული პერსონალის ინტერესები, მოთხოვნები და წინადადებები;

მუხლი 4. გაერთიანების სტრუქტურა და მართვა

1.გაერთიანება შედგება თვითმმართველი ერთეულის - ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული და მოქმედი კულტურის დაწესებულებებისაგან

2. გაერთიანებას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი.

3. გაერთიანების დირექტორი:

ა) საქმეებს უძღვება ერთპიროვნულად, მასვე ეკისრება გაერთიანების წარმომადგენლობა და პერსონალურად აგებს პასუხს მისი საქმიანობის სწორად წარმართვაზე;

ბ) კანონით დადგენილი წესით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გაერთიანების თანამშრომლებს;

გ) კანონმდებლობის შესაბამისად განაგებს სამსახურის ფინანსურ და მატერიალურ საშუალებებს, ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა გაერთიანების სარგებლობაში არსებულ ქონებაზე, ფულადი სახსრების მიზნობრივად ხარჯვაზე.
დ) დადგენილი წესით ხსნის ანგარიშებს და ახორციელებს კანონით გათვალისწინებულ შესაბამის გადარიცხვას.
ე) წარმართავს შრომით ურთიერთობებს, დებს შრომით ხელშეკრულებებს, იცავს თანამშრომელთა უფლებებს, კანონის ფარგლებში დასაქმებულთა მიმართ იღებს დისციპლინარულ და წამახალისებელ ზომებს.
ვ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს, ახორციელებს გაერთიანების ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის აუცილებელ კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საქმიანობას.
ზ) გაერთიანების წინაშე მდგარი საკითხების გადასაწყვეტად ქმნის დროებით სამუშაო ჯგუფებს, კომისიებს.
თ) შეიმუშავებს და ამტკიცებს:
თ.ა) გაერთიანების შინაგანაწესს
თ.ბ) გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების შინაგანაწესს.
ი) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ახორციელებს სხვა საქმიანობას.

მუხლი 5. გაერთიანების ქონება
გაერთიანების ბალანსზე არსებული ქონება, სხვა ქონებასთან ერთად, გამოიყენება მხოლოდ წესდებით დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად.

მუხლი 6. გაერთიანების ფინანსური სახსრები
გაერთიანების ფინანსური სახსრებია:
ა) შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ სამსახურის დებულებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად.
ბ)განახორციელოს სხვადასხვა სახის ფასიანი ან უფასო კულტურული, შემოქმედებითი ან საქველმოქმედო ღონისძიებები;
გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავალი.

მუხლი 7. გაერთიანების საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარშგება
გაერთიანება ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, და შეადგინოს ბალანსი და მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს

მუხლი 8. გაერთიანების კონტროლი
1. გაერთიანების საქმიანობა ექვემდებარება კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების მიზანშეწონილობის, ეფექტურობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.
2. გაერთიანების კონტროლის ახორციელებს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი, რომელსიც უფლებამოსილია პერიოდულად მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო ინფორმაციისა და მასალების წარმოდგენა.
3. კანონმდებლობით დადგენილი წესით, კონტროლის განმახორციელებელი ორგანო უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს გაერთიანების არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

მუხლი 9. გაერთიანების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია
1.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამფუძნებლის გადაწყვეტილებით.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაცია ხორციელდება მიზნის მიღწევის შედეგად, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრებისას ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის შესაბამისად.

3. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულად ერთეულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.

4. დამფუძნებლის გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

5. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრვს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელი. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:

ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;

ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;

გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

6. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.დარჩენილი ქონების განაწილება მოხდება კანონით დადგენილი წესით.

7. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები.

1. წესდებაში ცვლილებების/დამატებების შეტანა დაიშვება დამფუძნებლის გადაწყვეტილების შემთხვევაში, რომელიც ძალაში შედის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

2. წესდების ყველა რეგისტრირებული ცვლილება/დამატება ავტომატურად ხდება მისი განუყოფელი ნაწილი.

3. თუ წესდების ერთი ან რამდენიმე დებულება (მუხლი) დაკარგავს ძალას, ეს არ გამოიწვევს წესდების გაუქმებას.

4. წინამდებარე წესდება ძალაში შედის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი **ზაზა მელიქიძე**

224101317